ოქმი:**ო37.37221521**

თარიღი:**01/06/2022**

ოქმი N 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2022 წელი,

30 მაისი

ქ. ოზურგეთი

12.00 -13 .00 საათი

თავმჯდომარეობდა : დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილე ტ. აროშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, პ. კიღურაძე, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, ალ. ღლონტი, ნ. ღაჟონია, ბ. მელუა, შ. თავდიშვილი, თ. გოგუაძე, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, რ. დუმბაძე, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მოადგილეები: ნ. გოლიაძე, ნ. ბოლქვაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 38-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. განაცხადა, რომ საკითხების განხილვის დაწყებამდე, საკრებულოში არსებული ფრაქციებიდან თითო წარმომადგენელს ექნება განცხადების გაკეთების უფლება. ამით ისარგებლა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომდგენელმა თ. ნიკოლაშვილმა და გააკეთა განცხადება, რომ თავისუფალ მედიას ებრძვის ხელისუფლება, აბსურდული ბრალდებებით დააკავეს ტელეკომპანია მთავარი არხის მენეჯერი ნ. გვარამია, პრემიერ-მინისტრის ოზურგეთში ყოფნისას, ხალხის საჭიროებების გამო, უნდოდა მასთან შეხვედრა და შეკითხვის დასმა, რისი უფლებაც არ მისცეს, ხალხს უზღუდავენ აზრის გამოთქმის უფლებას და ა. შ. რის

შემდეგაც, პროტესტის ნიშნად დატოვა საკრებულოს სხდომა. ამ განცხადების პასუხად ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ უხერხულია პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ლაპარაკობდეს მედიის თავისუფლების შეზღუდვაზე, როცა თავად შეეჭრნენ და დაარბიეს ტელეკომპანია „იმედი“, რა ხალხის უფლებების შეზღუდვაზეა საუბარი, როცა ვ. მერაბიშვილის მეუღლის გამო უბედურება დაატრიალეს. სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 37-ხმით.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გელა ჩავლეშვილი

საკრებულომ აღნიშნული საკითხი მიიღო ცნობად.

საკითხის განხილვისას, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ, დასვა შეკითხვა, რატომ იქნა წარმოდგენილი ანგარიში დაგვიანებით? თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ დაგვიანება განაპირობა მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციამ. მომავალში მსგავს ფაქტს არ ექნება ადგილი.

20.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ საკრებულოს წევრებს, ი.თუთბერიძეს და შ.თავდიშვილს.

საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ბ. ქათამაძემ განაცხადა, რომ მიესალმება წარმოდგენილ ცვლილებებს, ბიუჯეტის გაზრდას და მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ სამუშაოების განხორციელებას. ამასთან დასვა შეკითხვა-იგეგმება თუ არა ნასაკირალის დამწვარი საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია?

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ტ. არუშიძემ, დასვა შეკითხვა-

მიმდინარეობს თუ არა სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების პროექტირება?

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ ფრაქცია მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს და მხარს დაუჭერს ყველა პროექტს, რომელიც მუნიციპალიტეტის განვითარებისაკენ იქნება მიმართული. ამასთან ხაზი გაუსვა სამუშაოების შესრულებაზე მკაცრი მონიტორინგის დაწესების აუცილებლობას.

საკრებულოს წევრმა რ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა -იგეგმება თუ არა ნარუჯა-ლაითურის შიდა გზების მოწესრიგება?

საკრებულოს წევრმა გ. შარაშენიძემ განაცხადა, რომ აუცილებელია ფამფალეთი -ბახვი-ვაკიჯვრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს: დაბა ნასაკირალის დამწვარი საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია მოხდება ადგილობრივი შემოსავლებით. სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები ზუსტდება და დაიწყება პროექტების შედგენა. ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი სისტემატურად განხორციელდება. სოფლებში შიდა გზების მოწესრიგებაზე ეტაპობრივად იზრუნებს მერია. ფამფალეთი-ბახვი-ვაკიჯვრის გზაზე სრულდება საპროექტო სამუშაოები.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს დადგენილების პროექტს, ბიუჯეტი იზრდება 106.7% რაც უპრეცენდენტოა. მოუწოდა კოლეგებს მხარი დაეჭირათ წარმოდგენილი პროექტისათვის.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა და მხარს უჭერს განკარგულების პროექტს, მისასალმებელია ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლებიც ქ. ოზურგეთში განხორციელდება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლ. ბიგვავამ, განაცხადა, რომ პირველი შემთხვევაა, როცა ბიუჯეტის პროექტის მიმართ შენიშვნები არ ააქვს, მადლობა გადაუხდა მუნიციპალიტეტის მერიას და მერის პირველ მოადგილეს გ. ღურჯუმელიძეს გაწეული მუშაობისათვის, მისი აზრით ახლა მთავარია ბიუჯეტის შესრულებისათვის მუშაობა, ბიუჯეტის ცვლილებები პროგრესირებადია და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემდგომ განვითარებას, პრიორიტეტებში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სიახლეები, რაც წინა წლებში არ განხორციელებულა, ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების სრულმასშტაბიანი განხორციელება გამოიწვევს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას, რაც საბოლოო ანგარიშით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და ა.შ.

საკრებულოს წევრმა ბ. ქათამაძემ დასვა შეკითხვა იაპონიის გრანტთან დაკავშირებით, განუმარტეს, რომ კონვერტაცია მოხდა იმგვარად, რომ მუნიციპალიტეტს არ უზარალია.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციამ განიხილა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს, განხორციელდება სერიოზული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, განვითარდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკა, ამაღლდება

მოსახლეობის კეთილდღეობის დონე, რაც შეეხება ფამფალეთი-ბახვი-ვაკიჯვრის დამაკავშირებელ გზას -მისი დაპროექტება სრულდება.

33.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ) გრანტის მიღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 35-ხმით.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ საკრებულოს წევრებს, ი.თუთბერიძეს და შ.თავდიშვილს.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ განცხადება გააკეთა სოფელ ბახვის მცხოვრებმა ნ.ჯიშკარიანმა, აღნიშნა, რომ ბახვის ცენტრში არსებული პარკის ღობე დაზიანებულია, საქონელი შედის მის ტერიტორიაზე, აზიანებს პარკს და შემოდიან მის სათხილეშიც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ითხოვა დახმარება.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი